



1917 № 38

საქართველო, ლვინობისთვის 1. №

წელიწადი მეხუთე გამო-
ცემისა ფ. ხ. 30 კაპ.



ვახტანგ აბაშიძე

სასტუმრო მოღვაწეობის 40 წ. შესრულების გამო.

სიყვარული

გზა დაბნეული ვილოდი,
შემჯავრდა ქვიცხად ყოველი,—
ვაშობილი: სად ხარ სამოთხევე?
მამულში შენს ხეს მოველი! —
ხმა იღუმალმა ჩამდ. ხა:
„გახარებს სეგტი-ცხოველი!“

გული ბნდებოდა, მამულო,
შენის ტყვეობით მზე-ბნელი,
ნეტავი როდის შეწყდება
უღრან ტყეშია გზა-ძნელი?
—ოღეს აღსდგება დამხსნელი—
ხალხი მოშქმედი, ცხოველი!..

ი. აბიძე

28 ენკენ. 1917 წ.



ღვინობისთვის 1.

კლდოვანი გაქირვებული ზღვაში გავაო, ღ ღ ქ. გვასწავლის ჩვენი ხალხის სიბრძნე.

ბედის კმაყოფილი და მადლარი მუდამ ნებიერად განისვენებს.

ჩვენ-კი ამის ნება არა გვაქვს.

გაქირვება აუტანელი, ნაკლებობა დაუთვალავი, — აი ჩვენი ხვედრი.

სულიერად სხვისი მონები, ნივთიერად სხვისი ყმები, აზრით და რწმენით სხვისი ტიკინები, ტინგიცნი, ტიტლიკანანი და შშიერნი!

აი, ვინა ვართ!

თითქმის სამი ათას წელს ოფლით და სისხლით მორწყულ სამშობლოში სამშობლო დაკარგულნი, — აი სახელი ჩვენი...

გარედ, შორს უცხოეთში მრავალი განწირული სიცოცხლე ქართველისა, შინ გუმბათ-ქერ ჩამონგრეული ტაძრები მამა-პაპათა, მდაბიო ხალხი — მთელი ჩვენი სოფლები გონებრივ წყვდიადში ჩაფლული, თავის შეუგნებლობით სხვის ბრმა იარაღად გადაქცეული სამშობლოს-ვე საზიანოდ, — აი ჩვენი მდგომარეობა ..

შებილწულია ტაძარი ჩვენი, ძირს განრთხულია წმიდათა-წმიდა დროშა ჩვენის ერისა!..

სახიობა, მუსიკა, რიტორება ჩვენი შობლიური არარად აჩის ქმნილი...

და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილნი სხვათა კერას აღვივებენ, სხვათა ქერს ახარებენ, სხვათა სამსხვერპლოზე სწირავენ და ჰქმნიან დიდებასა!..

სად არის სამართალი?!

ნუ თუ სამშობლო ჩემი აღარ აღსდგება ყოვლითა დიდებითა თვისითა?!

უნდა აღსდგეს და უეჭველად დღესვე, დღეს უნდა შეიქმნეს იგი თავისთავის მზრუნველ-პატრონი.

დღეს, ერთი საუკუნის შეგზნელი ძილისა და გლოვის შემდეგ, სვეტი-ცხოველის ბქენი განიღებინ და კვლავ განიხარებენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევით.

მთელი ქართველი ერის მორწმუნე სულიერი მოთხოვნილება ოდნავ მაინც დაკმაყოფილდება.

მაგრამ ერის ასაღორძინებლად მართო ეკლესიის აღდგენა არა კმარა!

საჭიროა ქართველი ხალხის პოლიტიკურ უფლებების აღიარება და მისი ეკონომიური განვითარების თავისუფლების განმტკიცება.

ძველმა საქართველომ მრავალ საუკუნეიან ცხოვრებით, ხოლო ახალმა საქართველომ თვისი დემოკრატიის მოწინავე მისწრაფებით უკვე მოიპოვა თავისუფალ ცხოვრების უფლება, იგი ღირსია ამისი და უნდა მიიღოს კ დღეც.

მრავალტანჯულმა და წამებულმა ქართველმა ხალხმა — საქართველოს დემოკრატია მ ერთ მთლიან ერად შეერთებულმა, — დღესვე უნდა განახორციელოს თვისი პოლიტიკური უფლებანი.

დღეს უნდა „გასწყვიტოს ჯაჭვი მონური სულისა დაძაბუნებამ...“

სვეტი ცხოველმა უნდა გამოსცეს ეს ხმა ტკბილი, რომ ჩვენს ცხოვრებას განეშოროს საუკუნოებრივი ძილი!..

დღევანდელი დღე უნდა შეიქმნეს ჩვენი აღდგომის დღედ!..

დღესვე უნდა აფრიალდეს ავტონომიურ საქართველოს დროშა!..

იოსებ იმედაშვილი



უკრაინის ცხოვრებიდან



„ბ. ტკოა ტარას შევეჩენკო, გენიალური ხალხური პოეტი, ყმად ნამყოფი, მაგრამ რუსის პოეტ ჟუკოვსკის მგვადინებობით ყმობიდან გამოოსციდული. დიდი დევნა-ტანჯვა გამოიარა რუსის მთავრობისაგან. მამად ითვლება უკრაინის პოეზიისა; მესაიდუმლე ხალხის სულის-კვეთებისა, ტანჯვა-ვაეზისა. ცნობილია აგრედვე როგორც მხატვარი.

მოსი ტრაქსატი

აჩამც თუ ქარაფელი სფატადოებს, აჩამედ უმჩაფლესობა რუსის ხალხისა აქამდე არ იცნობდ, აჩსებობს უკრაინა, უკრაინის ხალხი და ხშირად ზოგი უფიცობით, ზოგი (პოლიტიკანები) განკებ ურეფდნენ რუსის ერში და იხსენიებდნენ მხოლოდ „ხანოლებად“, „მილაროსებად (ეს ტერმინი განკებ შეთსუელია რუსის დელოფელ კაბტერინესაგან, რათა უკრაინა ეკეთქეფიუ რუსის ერში). რუსის კამოჩენილი მოღვაწენი ახლაც ხშირად გაიძისინ და სწერენ: „უკრაინა“, „უკრაინელი“ განკებ გამოგონილი ტერმინებიათ, უკრაინა როგორც განკებ დეკეფეუელი, თავისებური, დამოუკიდებელი ერი არ აჩსებობდათ.

ამისთანა ჭორების გასაფანტაფად, მოგვყავს უკრაინელითა თხნი ტრანქატი, სადაც ნათლად ნაჩვენებია, რომ აჩამც თუ უკრაინა არ აჩსებობდა, მას ისეთი დემოკრატიული-რესპუბლიკანური სახელმწიფოებრივი მართვა-გამგება ჰქონდა, როგორისაგან მიუსწრაფიან ახლანდელი კულტურისანი ერები. მხოლოდ რუსის „ცარიზმის“ მოიწადინა ამოკესმო უკრაინელეში ეს თავისუფლების სიყვარული. თითქოს მიადწია ამ საწადელსა, 250 წელს ტყვედ იყოლია უკრაინა, მაგრამ უკრაინულმა თავისებურობამ, ერთვისულმა გრძნობამ იფეთქა და გაექანა ეროვნულ თავისუფლებისაკენ, თან გაიტაცა სხვა ეროვნებანი, მათ ასულდგმულებს და ძაღას აძლევს თავისი ახლანდელი, სამშობლესადმი თავგანწირული სიყვარულის მკავლითებით.

(თუ ვინ არის, რას წარმოადგენს, ან რა მსოფლიო მოვალეობა უკანონოებს — ამის შესახებ დაბეჭდილი იქნება მოკლე ხანში უკანონო ბრძოლის მისხალი გრუშევის წერილი).

№ 1.

პრეზიდენტის ტრაქტატი

გეტმანი ბოგდან ხმელნაჯკი გარდაიცვალა 1657 წ. დაიწყო ომი ვერაჯ მოსკოველებს* და პოლონელების წინააღმდეგ შეგების და სემიგრა-დის დახმარებით.

მუსლები, რომლის ძალით 263 წლის წინ (1654 წ. გეტმან ბ. ხმელნაჯკი დაუკავშირდა მოსკოვის (რუსეთს). ეს ხელშეკრულება 153 წლის წინ (1764 წ. ვერაჯულად დაარდნა მოსკოვამ.

1) მთელი უკრაინა — მარჯვენა-მხრევი მარცხენა მხრევი ე. ი. დნეპრის იქით-აქეთ) და გალიცია — წარმოადგენს რუსეთისაგან დამოუკიდებელი ტაქტი რუსებზედას.

2) აქვს თავისი დამოუკიდებელი კანონმდებლობა და სამართალი.

3) თავისუფალი ხმებით ირჩევს გეტმანს და უფლებას მამასხლისს.

4) აქვს უფლება მოლაშარაკება იქონიოს კლხებთან და სხვა სახელმწიფოსთან დასდოს ხელშეკრულება.

5, მოსკოვი არ გაბედავს დაარდნის უძველესი უფლებანი გლეხებისა, კაზაკებისა, დაბა ქალაქებისა, მოქალაქეებისა და სამღვდლოებისა; უკრაინის ეკლესია დამოუკიდებელია მოსკოვის ეკლესიისაგან.

6, ვერაჯინ გაბედავს გლეხების (ე. ი. სოფლებების*) და კაზაკების მიწების წართმევას.

7, უკრაინას ჰყავს თავისი საკუთარი ჯარი.

8, უკრაინა და მოსკოვი ეშველება ერთმანეთს ომის დროს.

№ 2.

გადაცემა ტრაქტატი.

გეტმანი ივანე ვიგოვსკი, პოლონეთთან და ვიჩინის ხანთან ერთად ეომებოდა მოსკოველებს:

*) უკრაინაში თავადი, აზნაურნი და გლეხნი არ არსებობდა. აქ გლეხი ნახარია სოფელის მნიშვნელობით.

***) სიტყვას „მოსკოველი“, „მოსკოვი“ და მოსკოვიწინა-ს უკრაინელები განებდნარობენ, რადგანაც რუსებს გადაეპირა ტერმინებს „რუსი“ „რუსეთი.“

მირ. ხარხელი.

მთლად დაამარცხა კონტოხთან, დახვეტილია 1654 წელს.

ეს ხელშეკრულება დასდო 1658 წ. გეტმან ვიგოვსკიმ პოლონელებთან, როცა ხას, რომ მოსკოვი ვერაჯულად ფეს-ქაქში თელავს პერეისლავის ტრაქტატს და ცდილობს დაიმონოს უკრაინის ხალხი.

1, უკრაინის შედის კავშირში (ფედერაცია) ლიტველებთან და პოლონელებთან, როგორც ცალკე ერთეული „დიდი უკრაინის სამთავროს“ სახელით კიევის დედა ქალაქით.

2, უმადლესი ბრძანებლობა და ძალა უკრაინაში ენიჭება უკრაინის სეიმს და გეტმანს.

3, უკრაინას ჰყავს თავისი საკუთარი ჯარი, თავისი სახელმწიფო ფინანსი, თავისი ფული.

4, უკრაინაში უნდა იყოს ორი უნივერსიტეტი [კიევში და უკრაინის სხვა ადგილას], მთელ უკრაინაში საშუალო და დაბალი სასწავლებელი; თავისუფლება ბეჭდვისა, სიტყვისა და სარწმუნოებისა.*)

5, შეეეს (ე. ი. ლიტვა-პოლონეთ-უკრაინის შეეეს. და სავროთ რადს (სენატს) ირჩევს ერთად უკრაინა, ლიტვა და პოლონეთი.

6 უკრაინას აქვს უფლება ნახსობა-ვაჭრობისა შვედეთს.

№ 3.

გეტმანი პეტრო დოროშენკო.

(ოსმალებთან ერთად ეომებოდა მოსკოველებს და თათქმის სულ განტყუას ისინი უკრაინიდან. გარდაიცვალა მოსკოვის საპურთბილეში 1698 წ.

უკრაინა-ოსმალეთის ტრაქტატი.

ეს ხელშეკრულება დასდო გეტმან დოროშენკომ ოსმალებთან 1658 წ. იმის შემდეგ, როცა მოსკოვამ უსინიდიხად უდალტა უკრაინას, დაარდნა პერეისლავს ტრაქტატი და ანდრსოვის ხელშეკრულებით (1657 წ.) გაქეო იგი ორ ნაწილად: მარჯვენა-მხრევი უკრაინა მისცა პოლონეთს მარცხენა მხრევი თვით შემოიერთა.

1, ოსმალეთი ვადებულა მიუხმართს უკრაინას პოლონელებს და მოსკოველებს ზრანების გასაჩერებლად და მოაწყოს უკრაინის ხელმწიფება კონტოგრადიულ საზღვრებში: დასავლეთით ვისლას

*) იქამდე განათლებული ხალხი იყო უკრაინელები, რომ საშუალოდა უმაღლესი სასწავლებელი ჰქონათ საუკუნოებში. ბეჭდვის, სიტყვის და სარწმუნოების თავისუფლება დემოკრატიულ რუსეთში ახლაც არ არის.

უკრაინის მუსიკანთა



პეტ. დოროზენკო ივ. ვოვნესკი უკრაინის გერბი ბ. ხმელნიცი ი. მაზეპა

და ზერემიშლის საზღვრებში და ჩადილ-ადმისკ-
ჯეთით ზუტაული.

2, უკრაინის უკავშირდება რსმაღვოს, როგორც
დამოუკიდებელი სახელმწიფო.

3, არც რსმაღვით სულთანს, არც ვარმის
სანს უფლება არა აქვთ გეტმანის დაუკითხვად
შეეკრან შეზობედ სხემწიფოებს რაიმე ტრაქ-
ტატით.

№ 4.

გეტმანი ივანე მაზეპა.

შუგინას დაუკავშირდა და ემის მისკოვშინას.
გარდინგლად სამშობლოს გარედ 1709 წ.

უკრაინა-შვეიცის ტრაქტატი

ამ სელშეკრულობით გეტმანი ივანე მაზეპა
დაუკავშირდა 1708 წ. შუგინას, რადგანც უკვე
გარკად ჰხედავდა, რომ ვერაკი მისკოვშინას უკრა-
ინის შეერთების დიდან (1654 წ.) უოველთვის
არღვევდა ზერეისღვის ტრაქტატს.

1) მთელი უკრაინა მარჯვენა-მხრით, მარც-
ხენა-მხრით და სამხრეთით ერთადერთი ერთ განუ-
ყოფელ უკრაინის რესპუბლიკად.

2, უკრაინის მართვა გასკვობა გეტმანის და
გენერალურ რადის (უკრ. სეიმის) ხელში; გეტმან-
თან უნდა იყვნენ «გენერალური მრჩეველები» (სო-
ვეტნიკები) კასაკებს მამასახლისებთან, წარმომად-
გენელები სამხროფიდან და თითო ყოველ პოლკი-
დან.

3, უკრაინაში უნდა იყოს ყოველგვარი საერ-
თო თავისუფლება და ყოველი უკრაინელი თავისუ-
ფალი კასაკი.

რუსის იმპერატორმა იქამდე მოადუნა ამისთა-
ნა თავისუფლების მიყვარული უკრაინის ერი, რომ
ტლეს-კაცობასა და მღაბით უკრაინელს რტყენოდა
უკრაინულ ენასე დასარაკი; როცა ინტელიგენცია
ტდილობდა გაედითებისა მასში ერ გნული კრძნობა
და ეუბნებოდა, შვილები უკრაინულად აღამარაკო,
ის უმასუხებდა: რად მინდა ჩემსავით „სოლომი“-
მუშაობი გამოვიდეს ჩემი შვილი, მე მინდა იგი
„მანი“ (ბატონი) იქნეს. და თავის თავს რუსად

სთვლიდა, მატარა გარჩეით, მე „მლაროსი“ ვარო.
მთავრობა იმდენად სდევნიდა უოველივე უკრაინულს,
რომ უმინდა ეოქვა, უკრაინელი ვარო. ეს იმ
დროს, როცა რუსებს და უკრაინელებს შორის დი-
დი განსხვავება, როცა ამ ერ ერს საერთო ძალიან
ტოტა აქვთ. იმისთანა ნამდვილი და მართალი შეტ-
ნიერების დარგი, როგორც ანტროპოლოგიას,
ამტრიტებს, ძელების მოყვანილობით, უკრაინელი
ძალიან განირჩევა რუსისგანო(მოსკალისგანო) უკრა-
ინელში სჩქეფს ნამდვილი სლავიანური სისხლი,
სოლო „მოსკალის“ სისხლი ნარევიანო; მასში არე-
ულია: სლავიანური, თინური, ჩერემისული, თათ-
რული, მორღვსი და სხ.

თუ გა უფრო მეტ ნაწილს უკრაინისას (რუ-
სეთისას, სადაც 30 მილიონია) ეძინა, ერთგული
კრძობა მინიუმაძედ მოდუნდა, სამაგიეროდ უკრა-
ინის მტირე ნაწილი გადიცა (ავსტრიის ნაწილი),
რომელიც ნაკლებ დენანს განიცდიდა, სტხოვრობდა
ნამდვილი ერთგუების სახით. აი სწორედ ამ ნ
მილიონიანმა გადიცამ ადადგინა მთელი უკრაინა,
აქედან გამოვიდა დიდ უკრაინასე სინათლე. მატარა
ძამ უშეკლა დიდსა.

და ამის წყალობით რუსეთის უკრაინაში ერთ-
ბაშთ იფეთქა მიძინებულმა ერთგულმა კრძნობამ
და დღეს ჩვენს ვხედავთ, რომ უკრაინა უკვე ნახე-
რად ავტონომიურია.

იმ დროს, როცა დროებით მთავრობას არც
კი ჰხურს მოუსმინოს სხვა სხვა ერთგულებათ და
მათს ავტონომიის თხოვნასე საუუეთესო სარდალი
რუსეთის მართვა გამოკობისა შუშტებს უღერებს:
„სისხლით და რკინით“ გაკიმსმინძედებითო, უკ-
რაინა თითქმის ყველა საქმეს დღეს, (გარდა სამხედ-
როსი,*) თვით განაკებს გენერალურ სეკრეტარ-
იატის სახით.

რატომ მოხდა ასე?

განა გუშინ არ იყო, რომ უკრაინელებს ჩვენი,
ქართველების იმედი ჰქონდათ, როგორც ერთგუ-

*) თხმცა-კი საუუეთესო ერთგული სამი პოლ-
კი ჰყავს დღეს უკრაინას.

დად გათვითცნობიერებულს;**) დღეს კი... დღეს ჩვენს გვაქვს მათი იმედი: ატა უკრაინა მოაზრებებს თავის უფლებას და მერმე ჩვენც მოგვეტყუენო... ეს მოსდა სულ უბრალოდ. უკრაინაში უკვლავ მოაქმედა მართალი შეთანხმება და ერთსულოვნად მოითხოვა თავისი უფლებანი.

დროებითმა მთავრობამ შეჭხედა, რომ უკრაინა ძალას წარმოადგენს და მას ანგარიში უნდა გაუწიოს. აი სწორედ მაშინ დამტკიცდა მისი მოთხოვნა.

უკრაინის მოქმედება ჩვენთვის მკაფიოა.
მარ. ხაჩკელი

თბილისი, 1917 წ. ივნ. 12

ე ნ ა
მ თ უ მ ე ბ ს !

ბრძოლის მთავარი იარაღი გონებაა. განვითარებული გონება საარსებო ბრძოლის გვიადვილებს. ამიტომ ყველა ჩვენთაგანი ცდილობს მეტად შეიგნოს, მეტად განვიტარდეს.

გონების დამხმარე საშუალებათ ჩვენ გავაჩნია ენა. ენის შემწეობით გამოვთქვამთ ნააზრევს, ენის შემწეობით ამ ნააზრევს განვითარებთ და ამ გვარად ვიძენთ შეგნებას. ჩვენს მაზნანს შეგვეგობით უნდა მივახწვიოთ; ამიტომ მეტი ღირსების ენა ამ მხრივ მეტად შეგვიწყობს ხელს.

დღემიწის ზურგზე ცხრაასი ენაა ცნობილი ხუთასი ფესვით. მათი ღირსება არის არის დამოკიდებული მათ სიტყვათა სიმდიდრეზე და მუსიკალობაზე. ქართული ენა რჩეულ ენათა შორის ითვლება, ვარდა ამისა ზედმეტი ღირსებითაც აღინიშნება: იგი მწიგნობრული იგივე ხალხურია. რუსულ მწიგნობრული-კი ხალხურ ენათ ვერ ჩაითვლება. ასრევე თქმის სხვათა ენებზე. სომხური მარულწერა არა ნაძლებ ძნელია რუსულს მართლწერაზე. თუ რუსის გლესსა სათანადო ცოდნა არა აქვს, მწიგნობრულ ენას ძნელათ იგებს; ქართული მწიგნობრული ენა-კი, როგორც ხალხური, ადვილად გასაგებია. მართლ წერაც ადვილი შესასწავლია. ჩვენს ნატიერს უსწავ-

**) სეკტემბრის რვა დაწვებული ეროვნებათა კონფერენცია უკრაინის მეოხებით შესდგა. თამამად შევეცდით ვთქვათ, რომ უკრაინა მკირე ეროვნებათა მეთაურია დღეს.

ლელოს ადვილად შეუძლიან გინვითარება და ლიტერატურული მოღვაწეობა მაშინ, როდესაც ეს სხვა ერის ნასწავლსაც კი ეძნელება. იმისთვის ჩვენ შედარებით სხვა ერებთან მეტი მწერლები გვყავს და მეტი პოეტებიც. ეს ჩვენი ენის ღირსების და ბუნების ბრალია და ამიტომ ჩვენი ენა ჩვენი სიამაყედ უნდა ჩაითვალოს როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური თვალთახედვის ისრით.

მაგრამ ჩვენ არამც თუ მით ვამაყობთ და მას ვიცავთ, პირიქით მას ვლაღობთ და ჩვენ თვითონ უარს ვყოფთ და ვ მახინჯებთ.

ესლა ქალაქის გამგეობა და სოფლის სამართველოები ჩვენს ხელშია. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, განცხადებებს დღეს უფრო ნაკლებათ ბეკდავენ ქართულად, მინამ წინათ. ჩვენ-კი ხშირად გვსმენია, რომ ენისა და ეროვნების თავგამოდებული და?ცველები ვართო, მაგრამ ჩვენს დაუდევრობას უფრო ვიჩენთ მინამ თავგამოდებას.

ჩვენი ზოგიერთი ნასწავლები ხომ ნახევრად გადაგვარებული ენით რუსულად ნათქვარას გვიწერამენ.

გომართლის სტილი ხალხური სტილია და ჩვენც ასეთს ენაზე გვაქვს ლაპარაკი. განა მისი ბუნებიდან ნაღლე არა სჩანს, რომ ასეთი ენით უფრო ადვილია განვითარება?

ჩვენი სამოციანი წლების ბუმბერაზო მწერლებიც ხალხური ენით სწერდენ. სწორეთ მათი ენა-წყლიანობის ზედგავლენის ბრალია, რომ ჩვენში სოკო-ავით იბადებიან, ვიმეორებ, პოეტები.

აი, ღირსება ქართული ხალხური ენისა, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შეგვიგნია და იგი დაუდევრობით შევრყვენით და ამით მოვალეობას უღალატეთ. ეს-კი იგივე შეგნებას ღალატია.

ჩვენ მოვალე ვართ დავიცვათ ქართული ენა, როგორც ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ჩვენი განვითარებისა.

დროა გონს მოვიდეთ. და შევიგნოთ ჩვენი ენის ღირსება. ვეცადოთ ისეთი სამარცხვინო საქმე არ განმეორდეს, როგორც ჩაიდინეს ზოგიერთმა ქართველმა მობრლებმა, რომელთაც განაცხადეს, სადაც ჯერარს, რომ მაგის შეილებს დედა ენაზე არ ასწავლონ. ასეთ მოვლენებზე თვალ-ყურის კერა ყველაზედ მეტათ ჩვენ—მუშებს უნდა გვეინტერესებოდეს.

მაშ მეტი ენერგია ამ საქმეში. ბრძოლა და და ზიზღი მას, ვინც დედა ენა უარსკის. მუშა მის. დევიძე

ჩვენი ხელმწიფის მიერ



ვასო აბაშიძე

საერთოდ ჩვენში ვისაც ცოტა ნ.ჭი და უნარი გამოუჩნდება ხოლმე მშობელ სცენას გაურბის და რუსის საზოგადოებას ემსახურება, ვითომც გასამართლებელი საბუთიცა აქვს სამშობლო სცენა ნივთიერად ვერ გვაკმაყოფილებსო.

საუბედუროდ თუ ჩვენს ხელოვნებას ბევრი ოთარბევი ჰყავს, სამაგიეროდ ახანებიც გააჩნია.

ვინ არის, ის რომელსაც თავის მალაღნიჭით შეეძლო რუსული სცენა დაემშვენებინა ნივთიერად უზრუნველყო თავისი თავი, მაგრამ მან უკუ აგდო ყველა ეგ: არ მოერიდა სიღარიბეს, შეაბრძოლა ყოველ დაბრკოლებას, მალლა ასწია სამშობლო ხელოვნების დროშა და თავის ნ.ჭით ემსახურა ქართულ სასცენო ხელოვნების აყვავებას?

იგი სამშობლო ხელოვნების გამრია ჩვენი ვასო აბაშიძე, რომელიც ორმოცი წელიწადია რაც ემსახურება სამშობლო სცენას.

მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს და ვასო აბაშიძეც დაიღალა:

— „ალარ შემიძლია“ — გულ ახლილათ მთხრა ვასო უკანასკნელ საუბრის დროს: „დავიღალე! ნუ თუ საზოგადოება ვერა ხედავს, რომ ძლივსლა ვსდგევარ სცენაზე? მეყო რაც გადმხდა, შიმშილი, ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლება, ავადმყოფობა და სიბერე. დაე, ახალგაზდებმა განაგრძო გზა და მე კი სულით და გულით ვუსურვებ მათ გამარჯვებას. მინდა უკანასკნელი წელი ჩემი სიცოცხლისა გავატარო მოსვენებაში. ვგრძნობ,

რომ სიკვდილი შორს არ არის. ავადმყოფობამ ხელი დამრა, არც სახსარი მაქვს... ხალხი შეჰყურებს ჩემ თამაშს და ხარხარებს მე კი გუნებაში ვტირი“...

ჩვენი მოვალეობაა დამსახურებულ საყვარელი მსახიობის ამ განცხადებას ჩაუკვირდეთ შევეკრბეთ რომ უზრუნველ ვყოთ მისი უკანასკნელი წლები.

ჩვენი რედაქცია აღნიშნავს რა მის ორმოცი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას, გამოსთქვამს მწუხარებას, რომ მსახიობს გადაწყვეტილი აქვს გამოეთხოვოს სცენას, მოუწოდებს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, ქართველ დრამატიულ მსახიობთა კავშირს, ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირს და საზოგადოებას რომ შეუდგენს ს.ქმეს — მის გამოსათხოვარ ღლის სამადლობელი გამართავ და მით მოინადონ ვალი გენიალურ მსახიობის წინაშე.



დ. არაყიშვილი

ჩვენდა საუბედუროდ თუ ხელოვნების ოთარბევი გვყავნან, სამაგიეროდ არიან გმირნიც, რომელთაც სულით და გულით სურთ შესწირონ თავი საზოგადო მოღვაწეობას. მაგრამ თვით ჩვენს საზოგადოების გულციოის წყალობით იძულებულნი არიან დარჩნენ უცხოეთში და სხვას ემსახურონ.

მოგახსენებთ დ. არაყიშვილზე. მთელი მუსიკალური რუსეთი მას პატივს სცემს და აღიღებს.

საუბედუროდ დ. არაყიშვილი ხშირად ავადმყოფობს გულის სისუსტით და მისი დარჩენა მოსკოვში ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი მოვალეობაა, გამოვიწვიოთ საჩქაროდ ეგ დიდათ სასარგებლო კაცი, რომელმაც მრავალი წესძინა და შესძენს ქართველ ხელოვნებას.

დროა დაუბრუნოთ იგი თავის საყვარელ სამშობლოს! დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია!

ბვ. წერეთელი

როს მზე იცინის ვიციანი მეცა,

როს მზე იცინის ვიციანი მეცა,
ოდეს მწუხრდება, ობლად ვტირი მე,
გინმობ, დაგეძებ ძალთა ძალებში,
ყველგან დაგეძებ, შენი ჭირიმე!
კვალად მოფრინდი, სულისა მტრედო,
კვლავ გამინათე ჩემუნავი გული...
ხედავ მძიმეა სევდა სოფლისა, —
ხედავ? უვარდოთ კვენისის ბულბული!


1907 წ.

დარია ახვლედიანისა

საქართველოს მანასლების მუსიკალები



ნოე უორდანია



ლ. დარჩიაშვილი



მრ ჩილ ჯორჯაძე



ქ ი რ ი მ ნ მ ე მ რ ე

დღეს მცხეთაში სრულიადსაქართ. კათალიკოს-პატრიარქად ეკურთხება.

დავებრდი, დავიჩანაკიდი, წვერი შემეკნა ქალრა,
სამშობლოს თავს არ ვადგივარ, გული მან დამინაღარა.

შემორე მოყვანილი სიტყვები კირიონ მღვდელ-მთავარმა 1909 წ. შო-
რჯულ ცივ ქვეყნიდან ერთ ქართველთან (მ. იანჭოშვილთან) ძღვნად გამოგ-
ზავნილ სურათს წააწერა.

სამშობლოზე ფიქრმა და ნაღველმა რომ მართლა დაიანაღარა, ეს სა-
სახეზედაც ეტყობა.

ქართველი ერის—ხალხის საუკუნგბრივი წამება თითქო კირიონს აღბეჭ-
ლოდეს სახეზე. შეხედეთ, თუ რუსთ მეფობის ხელში წამებული საქართველო
არ მოგაგონდეთ: ერთიცა და მეორეც ხომ თვინმპრობელურმა რუსეთმა ა
ჯვარს გააკრა. მაგრამ თურმე რწმენისათვის წამება წრთენის აღამიანის სულს
და იგი უქმად არ იკარგება. დღეს ეს წამებული აღამიანი, 60 წ. მიღწეული
საყვარელ ერისაგან რჩეული, თავს დაადგება სრულიად საქართველოს ეკლესიას,
რათა იგი წარმართის განახლებულის სულით ქართლისიანთა საკეთილდღეოდ
საქართველოს ეკლესია მუდამ ხალხთან ერთად იყო და თუ ჰსურს სრულიად
არ ჩაჰქრეს, დღესაც ხალხს უნდა ამოუდგეს. ამის თავღებია კირიონ მეორის
წარსული მოღვაწეობა. მშვიდობა კურთხევასა მისსა!..

იოსებ არიმთიელი

რწმენის ღამზარი

საუკუნეა, რაც საქართველოს
მტრულად ჩაუქრეს რწმენის ღამზარი
დაობლებულს ქართველის ერსა
კამოყვარეს სსსლის კარი.

და შეუუღლი რწმენა გაქრდა
ბოგნიად იქცა ჩაგრული ერი
წაირუნა ქვეყნის წმიდათა წმიდა,
აუღედ ნაცვლის ეკლესია რა უკრი.

ძველი დიდობა გაკვირვებულა,
შემაკვირვებულა წმიდა ტაძარი.

შუბრთალებლად თუქვემ გასოვლა
უღვთო მტრის მართლის ჯვარი

და კოფეთასკენ ვიდოდით ჩვენა,
ზურგზე გვეკვიდა წამების ჯვარი.

გაკვირა შეება—სულის სიამე,
აღარ უჩინდა ტანჯვას სსსღვარი.

შაგრამ გვეშველა! ავსულთა ძადა
სიმათლემ სძლია, დამარცხ ბნელი:

თვითვე შეესდო, რისაც ჩვენთენს
თავის უმეტრებით იყო მოესწვლი.

გვლად ზვიმობს მის შეუუღება,
კათალიკოსის საკურთხეველი,—

ერი იღვიძებს, ერი აწ სდგება,
დღეს მღწევა სვეტი ცხოველი!

რწმენის ღამზარი გვლა იუვაგილებს
გვლად დასტებება ქართლისა ერი.

მჩაგვრული ჩაგრულს გვლარას აენებს
და შეცვლება ქვემს მამულს ფერი!

დ. გაბრუაშვილი.



ზ. ი. ყიფიანი

ცნობილი საზოგადო მოღვა
წნ, სხვადასხვა საკულტურო-
საგანმანათლებლო დაწესე-
ბულების დამფუძნებელ-მო-
ზიარე, სოციალ-ფედერალი
სტო პარტიისწევრი, გარდ
აიცვალა კიათურაში

სონეტი

ვარსკვლავებით ანათებენ სატრფოს თვალები,
სატრფოს თვალები გვირგვინია სილამაზისა.
მას დაუჩრდილავს საქართველოს ყველა ქალები,
ლერწმის რხევას გავს რხევა ნაზი სარო ტანისა.

— :: —

შუქი ნათელი იფინება, როს ილიმება;
მისი ლიმილი ღიმილია განთიადისა.
მისთვის მიზეზი არ არსებობს სევდა-დარდისა
და გულოგრილია, ვით ბუნების სურვილი, ნება.

— :: —

მე კი მიყვარდა და მეწოდა ამაოდ გული.
რომ მოიგონოს ერთხელ მაინც ძველი წარსული,
განა ნარნარი ჩემს სიყვარულს კიდევ დასცინებს?

მოვა, როგორც მე მივდიოდი თაიგულითა,
როს ნანატრს წუთებს მოველოდი სიხარულითა,
და ტკბილის ენით, მოფერებით, აღერს დამიწყებს.

ქნაძ ა.



ბუერის ქვეშ

ისმის ანცი ნაკადის შხეფვა-მღერა, ლიკლიკი,
თითქო მზგავსი მოთქმისა, მაგრამ ამო, ტკბილი კი.

—

არ ისვენებს გეჟმაჟი, ნაზი სევდის მჩინარი —
ეს ნაკადი, მთის მძლევი, ლაღად გაღმომდინარი...

—

ნაზად მისთვის სევდით ჟღერს, რომ ბუერი მას ჰფარავს,
რომ ველარ სჭვრეტს ცის ტატნობს, რომ ველარ სჭვრეტს
ცის კარავს.

—

ჩემი სული ნაკადს ჰგავს... ნაკადრით მეცა ვმღერ,
მაგრამ, ვაგლახ ამითა სხვას რომ ველარ ავამღერ!

იპო ჯინორიძე



(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 36)

იოჰან. გთხოვ ამაზე ლაპარაკს ესლა თავი დანებოთ...

ფრ. ანა. მე მხოლოდ ვიტყვი, და არც შემიძლიან არა ვთქვა, რომ პირობა მივეცი შეფათს ან კვირას უთუოთ მივიდე.

იოჰან. თქვენ აღნიშნით... მაგრამ, ფრეილინ, ასე რათ გეჩქარებათ?

ფრ. ანა მრავალი მიზეზების გამო.

იოჰან. (ცხარის ნახევით ბოლოსა სტეფს, ადღეფებუდა) ნუ თუ სულ ყველა ის, რასაც ასეთას ტანჯვით მივალწიე, უნდა შევწირო მსხვერპლად, ამ წყევულ-შეჩვენებულ წესიერება-არგინობას? ნუ თუ ხალხს არ ძალუმს შეიგნოს, რომ იმისთანა შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარე მოგებაშია, წარმატებაშია, — დანაშაულები აღარ არის!. განა დედ მამას არ უნდა უხაროდეს, რომ მათი შვილი უკეთესდება? განა ცოლისათვის დასაკლისია, რომ იმისი ქმარი იზრდეს, მადლდება გონებრივად?

ფრ. ანა. (ტკბილად თათს აქნებს). ბატონო ექიმე! ერიდებით მაინც აფფექტებს-აღტაცებით!

იოჰან. (დაშედილებით) ფრეილინ ანა? განა მართაჯის არ ვამბობ?

ფრ. ანა. „ჰოცა და არც... თქვენ სხვა შემეცნება გაქვთ ღირებულებაზე, თქვენ მშობლებს სხვა.. თქვენი მშობლები ისე არ აფასებენ ცხოვრების ფაქტებს, როგორც ურბუ კეტე-მე მგონია იმაზე ლაპარაკაც არა ღირს...

იოჰან. აი კიდევაც მაგაშია მთელი საშინელება ჩვენთვის!

ფრ. ანა აკრთევე იმათთვისაც... სხვებისათვის, გარეშეთათვის საშინელება... (სიჩუმე).

იოჰან. მაგრამ თქვენ ყოველთვის ამბობდით ხოლმე, რომ იქნება არ უნდა მივცეთ, რომ სვეებთან დამოკიდებულებამ ჩვენი ზნეობრივი პირადობა დაჩრდილოსო, უნდა ვერიდოთ, ყოველგვარ დამორჩილებას-დამოკიდებულებასო?!

ფრ. ანა. მაგრამ თუ ეგ დამოკიდებულება უკვე არსესობს?

იოჰან. მაშ, კარგი... მე დამოკიდებული ვარ... სამწუხაროდ! მაგრამ თქვენ?... მაგრამ თქვენ რათ ემორჩილებით სხვებს?

ფრ. ანა იმიტომ რომ ისინი შემოვარდნენ (სიჩუმე).

ფრ. ანა. თქვენ არა ერთხელ გოთქვამთ ჩემთვის, რომ წინად გრძნობთ სხვა-ნაირს, უფრო სულიერ ურთიერთობას მამა კაცს და დედაკაცს შორის.

იოჰან. (აღტაცებით) დიხ, მე წინად ვგრძნობ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ურთიერთობა დაყარდება.. პირველ ადგილს ცხოველი კი არა, ნამდვილი კაცური კაცი დაიქვრს! აბა ცხოველი იქორწინებს ცხოველზე, არამედ ადამიანი ადამიანზე!.. მეგობრობა—აი ის ნიადაგი საიდანაც აღმოცენდება სიყვარულის ყვავილით. ის სიყვარული იქნება საუკუნო, ის იელვარებს საკვირველებით სავესე სულიერისიმშგენიერით!.. მაგრამ მე წინად ვგრძნობ კიდევ სხვა, უფრო ამალღებულს, დაუფაებელს... გასწვევტს ღამაჯს და ანას მთებრუნდება) მე რომ ცხადათ ვარჩევდე თქვენს სახეს, უთუოდ ღიმილს შევნიშნამდი, არა?.

ფრ. ანა არა, ბატ. ექიმო! ამ უამათ არ ვაყინი მაგრამ თქვენ მართალი ხართ: როცა მესმის ამისთანა სიტყვები, რომელთაგანაც ხალხი ითვრება, მე... ძველი ჩვეულებისამებრ, ვიღიმიე ხოლმე. მაგრამ კარგი. დაგეთანხმებით მაგაზე, რომ ჩვენს დამოკიდებულებაში თავი იჩინა რაღაც უფრო მაღალმა, რაღაც ახალია, არყოფილმა...

იოჰან. (ნადღვინად) თქვენ ამაში ეტვი შეგაქვთ? გნებავთ გიჩვენოთ განსხვავება?— განა თქვენ თვითონ არა გრძნობთ კეტეს მიმართ გულწრფელ, მეგობრულ სიყვარულს? განა ჩემი სიყვარული კეტესადმი შესუსტდა? არა! პირიქით ეს გრძნობა უფრო გაფართოვდა, გასრულდა, თუ შეიძლება ასე ითქვას...

ფრ. ანა. ვაქვით რა აკრეა, თუმცა არა მგონია, რო ჩემს მეტმა სხვა ვინმემ ეგ დაიჯეროს. ხედავთ რომ კეტე იღუპება!.. ჩვენ შესახებ არ მინდა თქვენთან ლაპარაკი. ვთქვათ რომ ვინმე წინეთ იგრძნო ახალი, უსრულესი ურთიერთობა კაცსა და ქალს შორის, მე პირადობაზე არა ვლაპარაკობ.. ამგვარი წინად გრძნობა შეიძლება შევადაროთ ნახ

მცენარეს, რომელიც სიგანგებო მოვლა-პატრონობასა თხოულობს.. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატ. ექიმო? ჩვენ იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ამ მცენარის დასრულებას მოვესწრებით... ჩვენ ვერ ვიცოცხლებთ იმ დრომდის, როდესაც ის გაიზრდება და ნაყოფს გაიღებ... იმ მცენარის ნაყოფი სხვებ-სათვის არის და მწიფე... შთამომავლობას რომ გადავცეთ ამგვარი ურთიერთობის ჩანახაზი, ჰო... ეს კომპონი შეგვიძლია. შეგონია, რომ სწორეთაქედან უნდა გამოვძინარეობდეს ჩვენი მოვალეობა.

იოჰან. თქვენ მინც იმ დასკვნამდის მიღებართ, ჩვენ უნდა ერთმანეთს გავშორდეთ.

ფრ. ანა. მე არ მინდა აბრადათ ჩვენ შესახებ მელაპარაქნა, მაგრამ, რადგანაც თქვენ დაიწყეთ... დიახ, ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს... იყო ისეთი წამები, როდესაც თქვენთან ერთი გზით სიარული ფიქრობდა მაგრამ ესეც აღარ მინდა... ოდნავ მეც ვიგრძენი რაღაც მალღობადმი და იმ დროიდან წინანდელი მიზანი მეტად მდაბლად შეჩვენება, ჩვენთვის შეუფერად, უღარსად... ამას გულწრფელად ვაშობი ისეთი შთაბეჭდილება მივიღე ასე გონია მაღალი მთის მწვერვლიდან ვაპირებ დაქანებას მეოქი ან და ფართო, გაშლილი მინდვრიდან ვიწრო ხევში ჩასვლას, სადაც ჩვეულებრივ სივიწროვე და მქიღრობაა. (სიჩუმე)

იოჰან. არავისი აჩსებობა საფრთხეში არ ვარდებოდეს?

ფრ. ანა. ეგ შეუძლებელია.

იოჰან. კეტეს რომ შესწევდეს იმდენა ძალა? იმას რომ შეეძლოს ამ აზრებამდის ამალღება?..

ფრ. ანა. კეტემ რომ გადაწყვიტოს ჩემი შეფერება... თავისთან ერთად... მაშინ მე... მე არ ვენდობი, ჩემთვის. ჩვენში... ჩვენ დამოკიდებულებაში არის... რაღაც მტრული განწყობილება იმ მაღალ მისწრაფებისადმი, რომელსაც ჩვენ წინად ვგრძნობთ... იღვას შეუძლიან აზრები დაიმორჩილოს, არა ბატ. ექიმო? მაგრამ დრო არ არის ლამაზ ავანთოთ?

ფრ. ფოკო. ანთუბუჯი სასწაული გამოდის იმ

კარებიდან, საიდანაც გავიდა) აქ ისევა ბნელია. ამ საათში ავანთებ ლამაზს, თქვენ ჯერ მანდიყავით ბატ. ბრაუნ.. მე ისე მოვახერხებ, რომ თქვენ...

იოჰან. (ახეულებს).

ფრ. ფოკ. (შეშინებული) ვინ არი?

იოჰან. ჩვენ აქა ვართ, დედი.

ფრ. ფოკ. შენა ხარ, იოჰანესი?

იოჰან. ჩვენა ვართ, ფრეილინ ანა და მე... აი კარებ უკან ვინდა?

ფრ. ფოკ. (გაფრთხილებული) მაგრამ, იოჰანეს, განა შენ არ შეგეძლო ლამაზის ანთება? განა კარგია... ასე, სიბნელეში.. (ანთებს ზამბას, იოჰანესი და ანა ადგილიდან არ იძვრებიან)

ფრ. ფოკ. იოჰანეს!

იოჰან. რა იყო, დედი!

ფრ. ფოკ. ერთ წამს არა გცალიან? შენთან ცოტა მოსალაპარაკებელი მაქვს.

იოჰან. განა აქ არ ითქმის?

ფრ. ფოკ. ერთ წამს თუ ჩემთვის არა გცალია ეკა თქვა და გაათავე..

იოჰან. ოჰ, დედი! რასაც ირველია, გიხლები... უკაცრავოთ ფრეილინი! (დედასთან ერთათ კბინეთში გადის)

ფრ. ანა (უბრალო აკრძებს უკრავს შემდეგ დახაჯი სმით მღერის) „სასიკვდილოთ დეტანჯეს და მოკვდი ახალგაზრდა, ხალხისათვის ბრძოლაში მდგარი დალიე სული. (სწავიძეს სიმრეკას; შემოდის ბ. ბრაუნი).

ფრ. ანა ტაბურეტკასთან ერთათ მატრიალდეს) საღმომშვიდობისათ ბატ. ბრაუნ?

ბრაუნი. უკაცრავოთ თუ შეგაწყუხეთ. საღმომშვიდობისათ ფრეილინი!

ფრ. ან. თქვენ რატო ასე იშვიათათ სიხაროთ?

ბრაუნი. როგორ?

ფრ. ან. აქ მალ-მალ გკითხულობენ: ბრაუნი. საინტერესოა ვიცოდეთ-ვინა მკითხულობს. დარწმუნებული ვარ იოჰანესი არ მიკითხავს...

ფრ. ან. ბატ. იოჰანესი? არა.. ფრთუ კეტე ბრაუნი. ჰოო? სწორე მოგახსენოთ... მაგრამ ეგ რა საჭიროა (სიჩუმე)

ფრ. ან. მეონია მე და თქვენ დღეს ისეთ

გუნებაზე ვართ, რა საჭიროა ერთმანეთს სსს-
ცილო ანეკლოტები უამბოთ. დროს შესაფერს
ხომ ვერაფერს მოიგონებთ? არის იმისთანა
შემთხვევა, როდესაც ძალით უნდა იცნოს
კაცმა. ან ანეკლოტს ან სხვა რამის..

ბრახუნი. არა, არა, არ შემიძლინ!

ფრ. ან. მე მგონია, რომ თქვენ არ გე-
მით სიცილის მნიშვნელობა.

ბრახუნი. მე თქვენთან მოსალაპარაკებლად
გიახელ... ფრეილინ.

ფრ. ან. (სდგება) ბრძანეთ, გეთაყვა, მე
ყურს გიგდებთ (შიდას სტოლთან ამოტყდვს *)
სსსის და მერე ისევა ჰკრავს).

ბრახუნი იყო დრო, როდესაც საშინელ
შინაგან ბრძოლას განვიციდილი.. პარიეში..
როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანიით. მაგრამ
სწორე გითხრა, დიდი სისულელე მომიდოდა,
განა სულ ერთია არ არის—მხატვრობაში
კაცს რამე მიმართულემა ექნება თუ არა?..
ხელოვნება—ფუფუნებაა, ხოლო ჩვენს დროში
ფუფუნების დასაკმაყოფილებელი რამის შექმნა,
ყოველ შემთხვევაში—სამარცხინოა. თქვენმა
გაცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემ-
ზე და, რაც უფრო საყურადღებოა, მაშინ
ვისწავლე თქვენი ფასი და პატივისცემა..

ფრ. ან. (ყვავილეებს აჩქევს გულგრილად) ის,
რასაც თქვენ ლაპარაკობთ, თუმცა ზრდილო-
ბას ცოტა მოკლებულია, მაგრამ, სულ ერთია,
განაგრძეთ.

ბრახუნი. თუ ამისთანა სიტყვებს შეურაც-
ხყოფად მიიღებთ, ფრეილინ, მაშინ არ ვიცი...
თქვენ ამართლებთ ჩემ აზრს..

ფრ. ან. დიდათ ვწუხარ, ბატ ბრახუნი!

ბრახუნი. მე მწყინს და ვწუხარ კიდევ.
უკეთესი იყო სრულებით ყურადღება არ მიმე-
ქცა, მაგრამ საქმე იმაშია.. რომ შეიძლება
ცუდი შედეგი მოჰყვეს. შეუძლებელია..

ფრ. ან. (მღერის დაბალი ხმით) „ჩიცვა
ხავერდის ხელოთამანები“.. მე ყურს გიგდებთ,
ბატ. ბრახუნი!

ბრახუნი. ფრეილინ, მიკვარს, სწორე მოვა-
სენით, რომ გიყურებ... თქვენ როგორღაც,

*) ისეთი ჯიშის ყვავილები, რომლებიც განმე-
ობის შემდეგაც ჩვეულებრივ ფერს არა ჰკარგავენ. ან
გამხმარი და მერე შედგებილი ყვავილები (თაიგული).

ასე გონია, სრულებით არ გესმით. . სრულე-
ბით ვერ წარმოგიდგენიათ აწინდელი სერიო-
ზული მდგომარეობა! [ფრეილ. ანა მღერის)

ბრახუნი. ყველა კაცს ხომ აქვს სინილისი?
მე სხვა მივმართო თქვენს სინილისს.

ფრ. ან. (შტირე ხანს სიჩუმის შემდეგ. მშვი-
დად და გულგრილად) სინილისის შესახებ იცით
რას ამბობს პაპი ლეე მეთაე?

ბრახუნი. არა, არ ვიცი ფრეილინ, და ამ
წამში არც მენიტერესება ვიციოდე.

ფრ. ან. ის ამბობს, რომ სინილისი ის
უბოროტესი მხეცია, რომელიც აღამიანს თა-
ვისი თავის წინააღმდეგ ამხედრებსო... მაგრამ
გთხოვთ განაგრძოთ; მე ყველაფერი მესმის.

ბრახუნი. რაღა ვთქვა? სუყველაფერი დღე-
სავით ნათელია... უნდა შეიგნოთ, რომ მთე-
ლი ოჯახის სიკვილი-სიკოცხლის საქმე სწყუდე-
ბა. მე მგონია, ახალგაზრდა ფრაუ ფოკერა-
ტის ერთი შეხედვა საქმარისია, რომ აღამიანს
ყოველივე ეჭვი გაუფანტოს... 'მე ვფიქრობ...

ფრ. ან. მე ვფიქრობ... (უცხათ სეროზულათ)
ჰო, აი თურმე რაზე ლაპარაკობდით.. მაგრამ
არა, არა, განაგრძეთ!..

ბრახუნი. დიხ, დიხ, და მერე თქვენი და-
მოკიდებულება იოჰანესთან..

ბრ. ან. (სსსტიკად) ბატ. ბრახუნი! აქამდის
ყურს გიგდებდით, როგორც ჩემ მეგობრის
მეგობარს. მაგრამ, რის შესახებაც ეხლო ლაპა-
რაკობთ, წინათვე გიცხადებთ, მაგაზე ტყუი-
ლათ იჯებით... (ბრახუნი ცოტა ხანს დაჩნდევს
ნილი ზის სიჩუმეა.. შემდეგ დგება, იღებს მალ-
ტოს, შლიბს და გადის იმ სხით, რომ რამდე-
ნათაც მასზე იყო დაშოკებულია, საქმე გააკეთა).

ფრ. ან. (დჭერის ყვავილებს, როდესაც კი
ბრახუნი კარებს მოეფარება, აღეფეხბული ბოლთას
სტუმს, შემდეგ ცოტა მშვიადდება და წყაღსა სკამს,
შემოდის ფრაუ ფოკერატისა)

ფრ. ფოკ. (აღშოთოეულია, აქეთ იქით იეუ-
რება სჩქაროთ მიდის ანანსთან, როდესაც მწყუნ-
დება რა მარტონი არიან) იოჰანესის გამო საში-
ნელი დღეღებული ვარ. ხო იცი როგორი
ფიცხია... მე კიდევ გულზე ისეთი ლოლი მა-
ქვს... რომ შეტი მოთმენა და დეფრა აღარ
შემიძლიან, ფრეილინი! ფრეილინ ანა (საში-
ნად შეწუხებული და მუდარის სახით უუწყებს ანანს).

ფრ. ან. ვატი, ვიცი რაც გნებავთ.

ფრ. ფოკ. ბატ. ბრაუნის გელაპარაკათ?

ფრ. ან. უნდა „ქოლი“, მაგრამ სმა უწყდება;

ბგული ველად დაუმორჩილებია და ქვეთინებს)

ფრ. ფოკ. (სწუხს) ფრეილინ ანნა! საყვარელო ფრეილინ! გული არ უნდა გავიტახოთ! ლიკრთო შენ ენაცვალე! ნეტა იოჰანესის მიანც შემოვიდეს თავბრუ მეხვევა. ფრეილინ, ფრეილინ!...

ფრ. ან. ოპ.. გადამიარა სრულებით, ნუ სწუხართ ფრაუ ფოკერატ!..

ფრ. ფოკ. თქვენც მებრალეებით. მაშ რა-ლა აღამიანი ვიქნებოდით ამასაც რომ ვერ ვგრძნობდეთ. თქვენც ბევრი ტანჯვა გამოგივლიათ ცხოვრებაში, მე ვატყობთ... მაგრამ იოჰანესის ჩემთვის უფრო ძვირფასია, ის უფრო ჩემთვის მახლობელია... ამაში კი მე დამნაშავე არ ვარ... თქვენ ჯერ ახალგაზდა ხართ ფრეილინ, თქვენს წლოვანებაში ბევრის ატანა შეუძლიან აღამიანს.

ფრ. ან. მე საშინლად ვწუხარ, რომ სექსე აი აქამდის მოვიდა..

ფრ. ფოკ. მეც ძალიან ვწუხარ და მწყინს. სტუმარ მოყვარეობა არავისათვის არ დამიყვებდრებია არასოდეს მაგრამ ეხლა სხვა გზა არა მაქვს. საზოგადოთ არც ერთს ჩვენგანს სხვა გზა არა გვაქვს.. ამ წამში მე არავის არ ვაძტყუნებ. ამ ხელად მე მინდა მოგელაპარაკო როგორც ქალი ქალს... და როგორც დედა. (სმა უკანკალებს და ცრემლები მოსდის.) როგორც იოჰანეს დედა, გვედრები (ხელს უჭერს) მომეცით ჩემი იოჰანესი! დაუბრუნეთ გატანჯულ დედას თავისი შვილი (ფრ. ფოკერატს ეშვება სკამზე. მისი ცრემლები ანნას ხელზე დაეცემა)

ფრ. ან. ძვირფასო ფრაუ ფოკერატ! მე დიდათ აღშფოთებული ვარ.. მაგრამ რის დაბრუნებასა მთხოვთ? განა მე წაჭართვით ვინმე?

ფრ. ფოკ. ამას თავი დაეანებოთ, მე იმის განხილვაში არ შევდევარ და არც მინდა ვიციოდე ვინ ვინ შეატანა. მე ერთი რამე ვიცი: ჩემ შვილს თავის დღეში არ გამოუტლია მომავლინებელი ვნებათა დეღვა. ისეთი იმედი მქონდა იმის, რომ სწორე ვითხრათ, ვერ გამოვივა. (ტარის) ისე იყოს დაიმედებული თავის თავზე, ფრეილინ ანნა.

ფრ. ან. ფრაუ ფოკერატ, თქვენ რაც გინდათ სთქვით. მე თქვენ წინაშე თავის გასამართლებელი არა მაქვს რა.

ფრ. ფოკ. მე არ მინდა რამე გაწყენინოთ, მით უმეტეს გაგაჯავროთ და ავალელოთ, ღმერთია მიწამე. მაგრამ მე ხომ სულ ერთიან თქვენს ხელში ვარ და ამიტომ შემოძლია მხოლოდ შეგეხვეწოთ, შეგვედროთ ჩემი დატანჯული გულის სიღრმიდან: თავი გაანებეთ იოჰანესს, ვიდრე ყოველისფერი დაკარგულ არ არს. ვიდრე კეტეს გული სრულიად არ ჭატეხილა შეიბრალეთ!...

ფრეილინ. ფრაუ ფოკერატ! თქვენ მეტი მეტად მამცირებთ. ასე მკონია თავში დამარტყით რამე მეთქი, მაგრამ არა. მე პირდაპირ გეტყვით. გადაწყვეტილია მე მივდივარ. და თუ ამის მეტი საწუხარი არაფერია.

ფრ. ფოკ. ოპ, მეშინიან, თქვენ ეხლა უფრო აზვირთდით, ფრეილინ ანნა! სწორეთ სიტყვები ვერ მომიგონია, მაგრამ გარემოებამ ისე მოატანა, რომ ამ საათშივე საჭიროა თქვენი წასვლა. თუ შეიძლება აი ამავე საათში.

ფრ. ანნა. (თავის ბარჯს აღტყებს).

ფრ. ფოკ. მე სხვა გზა არა მაქვს, ფრეილინ! (სიჩუმე)

ფრ. ან. (ბარჯს იღებს ხელ-ნელა მიდის. შე-მდეგ შეჩერდება ფრაუ ფოკერატის წინაშე) თქვენ როგორ ჰქუქობთ, — განა ამ ლაპარაკის შემდეგ შემეძლო ოდნავ მაინც დავვიანება..

ფრ. ფოკ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ფრეილინ!

ფრ. ან. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ფრაუ ფოკერატ.

ფრ. ფოკ. იოჰანესს ხომ არაფერს ეტყვით იმის შესახებ, რაც ჩვენ აქ ვილაპარაკეთ?

ფრ. ანნა. ნუ სწუხართ, ფრაუ ფოკერატ.

ფრ. ფოკ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ფრეილინ ანნა! (ანნა გადის შუშაბანდაში)

ფრ. ფოკერატს (თავისუფლად ამოისუნთქავს და გადის სწოლ ოთახში. ვერანდაზე გამჩნდება ფანანთ მოხუცი ფოკერატის თბილათ ჩანმული, სამხედრო შინელი აცვია და ზღვის კატის ტუყის ქუდი ხურავს უკან მისდევს სადგურის მისამსახურე, რომელსაც ქადაღში განხუებული სხვა და სხვა ნივთები მოაქვს ცაღ თვალს წინით).

ფოკ. (შეტად აღტყუული) ა... აქ არავინ არის!? ნივთები აქ დააწყეთ. მომითმინეთ!

შრომის სამეფოში

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 28

V

ზაფხულის ცხელი დღე იყო. ქარხანაში მუშები ჩქარა საქმიანობდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ საღამოს მოახლოვებას... საღამოს ქარხნის ხაზინისაგან უკანასკნელი პასუხი უნდა მიეღოთ მუშებს, მაშ. მიერ წაყენებულ მოთხოვნების შესახებ.

ხანგრძლივ მორჩილებაში მყოფ მუშებს მოთმინება დაჰპარგოდათ, ქარხანაში სურათიც გამოცვლილიყო და წინანდელი სიმშვიდეც გამჭრალიყო...

მუშების გამოსვლის გამო გიორგი განყოფილებაში ჩქარი ნაბიჯით გაბრაზებული დადიოდა და ოლიას გადახედავდა ხშირ-ხშირათ, რადგანაც ოლია მას ძლიერ ეჯავრებოდა, როგორც ერთი მეთაურთაგანი მუშა ქალებისა... ოლია კი გიორგას სრულიათ არ აქცევდა ყურადღებას: იგი თავის საქმეს ასრულებდა, მხოლოდ ხანდისხან მოწყენილი სახით თვალს გადაავლებდა, მის წინ დამსხლარ თერთმეტ-თორმეტი წლის გოგოებს, სოფლიდან ახალ ჩამოყვანილთ, რომელნიც გაოფლიანებულნი, შემკრთალნი თავიჩინდრულნი მუშაობდნენ...

— იმუშავეთ, იმუშავეთ, პატარებო!... ბედისაგან განწირულებო!... — ცუკოდა მათ ღრო-გამოშვებით ოლია...

ქარხანაში სიწყნარე გიორგიმ დაარღვია: — ეი, შენ ყაზილარო, საით იტყირები?! შესძახა მან პატარა გოგოს, რომელსაც თავი მალდა აეწია და ვიწრო ფანჯარას უტკეროდა. გიორგის ყვირილზე პატარა გოგო შეკრთა, დაიბნა და თმა აბურჰგნა.

— არ გესმის!... — კვლავ განუმეორა გიორგიმ და მივარდა პატარასთან, თავზე ხელი წაატანა და „გააქან-გამოაქანა... პატარას ტორილი მოეჩრია, მუშებს ცუდი ფერი გადაეკრათ...

— ეს როგორ შეიძლება!.. ეს რა ამბავია! გაისმა ხმები.

გიორგი შეკრთა.
— რა უფლებით სცემთ პატარო გიორგი? — ხმა მალდა შეეკითხა ოლია.

— შენ ვინ გკითხავს! — მისცა პასუხი გიორგიმ და თვალები დაუბრიალა.

— განა შეიძლება ასე მოიქცეთ? —

— ეგ ჩემი საქმეა!
— ეგ თქვენი საქმე მუდმივ სახირო არ იქნება თქვენთვის.

— ხმა შესწყვიტე, დედაკაცო! — დაუყვირა გიორგიმ.

— აი ეგ კი ჩემი საქმეა... განა შეიძლება გაჩერება, როცა არა აღმამიანობას ხედავ?!...

— ხმა, ხმა!... — დაიღრიალა.

ქარხანაში თითქმის მუშაობა შესწყდა.

— თქვენთან ლაპარაკი არ ღირს, ისე კი გაფრთხილებთ მეტი არ ჩაიღინოთ: დედაკაცებსაც შეუძლიანთ ანგარიშის მოთხოვნა გასცა პასუხათ ოლიამ.

— მაშ, მაშ!... — გაისმა ხმები.

— ხმა შესწყვიტეთ! — მე თქვენ ყველი დავითხოვთ! — შესძახა გიორგიმ, საჩქაროთ გარეთ გავარდა და ეზოში სიარული დაიწყო.

— გაიქცა უფროსებთან დასაბეზღდებლათ — გაიქცეს!... — იყო პასუხი.

გაიარა წუთებმა. ქარხანაში სიწყნარე ჩამოედგა... პატარა გოგო თვალცრემლიანი პაბი როსებს აწყობდა და შეშინებული ხანდისხან აქეთ-იქით გაიხედავდა...

არ გაუფლია ცოტა ხანსაც და მეხუთე განყოფილებიდან მუშა-ქალების სიმღერა მოისმა:

მკითხველო, თუ ქარხანაში არ გიცხოვრია, არა მგონია წარმოიდგინო რაც მის კედლებს შიგნით ხდებოდა: როცა მანქანები გუგუზნებენ, ხელები საქმიანობენ, მოგესმის: ხან გინება, წყევბა, კვნესა, ცემა, ხან სიმღერა მელოდიური და ხან ხლები უიმედო, — იმედია და გაბედულიც...

ს. ყუყისპირაძე

(გაგრძელება იქნება).



საქართველო

საქართველომ თვისი ერი დაინახა, რომა ჰყვავობს, ბორკილს იხსნის — ტანჯვის უღელს, უხარიან და ცეკვავობს.

გაიიზ იმედაშვიდი

წერილი ახეხვი

საქათველოს სამეცნიერო ექსპედიცია

არქიოლოგ-ისტორიკოსის ექ. თაყაიშვილია თა-
ოსნობით შემდგარი თვენახევრისწინად საოსმალო სა-
ქათველოსკენ (თორთუმის ხეობა) რა გაემგზავრა უკ-
ვე თბილისის დაბრუნდა. ექსპედიციის წევრებმა მოია-
რეს ხახული, ოშკი და იშხანი. ყველა ღირს-შესანიშ-
ნავ მონასტრებიდან გადმოიღეს გეგმები, წარწერები,
ფრესკები და ესტამპაჟები (ქანდაკების ფორმა). ექსპე-
დიციაში მონაწილეობდნენ მხატვრები: დ. შევარდენიძე,
მ. ჭიაურელი, ლ. გუდიაშვილი, ხუროთ მოძღვარი
კალგინი, გვოგრაფი—ი. ზდანევიჩი და თვით არქისტ.
ექ. თაყაიშვილი. ნაწილი ექსპედიციის გაემგზავრა პარ-
ხალისკენ.

გ. ბ. გვაზავამ დასწერა ახალი გამოკვლევა »სა-
ქათველო საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით“.
წიგნი დაიბეჭდება რუსულად, ფრანგულად და ქართუ-
ლად.

პავლე საყვარელიძის ლექციაში „ინტერპარტიულ
საბჭოს“ შესახებ დიდ ძალი ხალხი მოიზიდა და ლექ-
ცია მეტად საინტერესო გამოდგა.

ქართული კლუბი

I კვირის პროგრამა

- კვირა —საღამო წარმოდგენა.
- ორშაბათი—ოპერეტა. მუსიკა
- სამშაბათი—საოჯახო საღამო
- ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
- ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
- პარასკ.—ოპერეტა.
- შაბ.—საოჯახო საღამო
- კვირა—რუსული წარმოდგენა.



წლის ბოლომდე ღირს 5 მან. ხელის მოწერა
მიიღება თბილისში, რედაქციაში—ბაზრის ქ. № 20,
ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. არჯევანიძისა.

საფოსტო მისამართი: თბილისი, რედ. „თეატ. და
ცხოვრება“—იოსებ იმედაშვილს.

რედექტორ—გამომცემელი იოსებ იმედაშვილი